გუშინ თბილისში დამთავრდა საქართველოს ტანმოვარჯიშეთა პირადი პირველობა ცალკეულ იარაღებზე. ამ ასპარეზობის პარალელურად ჩვენი რესპუბლიკის საიუბილეო სპარტაკიადის ზონალური ტურნირიც მიმდინარეობდა. რგოლებზე ვარჯიშში ყველაზე კარგად გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი ი. ნინოშვილი, რომელმაც პირველი ადგილი დაისაკუთრა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ი. ნინოშვილი რგოლებზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

შეჯიბრების ანგარიში იხილეთ შემდეგ ნომერში.


პროლეტარებო ყვ... ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 205 (3182)

20 ოქტომბერი, ხუთშაბათი 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი






## მესამე ჩემპიონი

ბერლინი, 19 ოქტომბერი. ძალოსანთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში გუშინ ასპარეზობდნენ ქვესაშუალო წონის ათლეტები. ამ წონის კატეგორიაში საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები შეგროვდნენ: მსოფლიო რეკორდსმენები, პოლონელი ვ. ბაშანოვსკი, ამერიკელი რ. კნიპი, საბჭოთა ძალოსანი ვ. კურენცოვი, მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ვ. დიტრიხი (გდრ) და სხვ. შეუძლებელი შეძლო ვ. კურენცოვმა: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა რომ მოეგო, ბოლო მოძრაობაში (აკვრა) აუცილებლად 182,5 კილოგრამი უნდა ეჩვენებინა. მან დაძლია ეს წონა, დააგროვა 450 კილოგრამი და ოქროს ორი მედალიც მოიხვეჭა. იგი მესამე ჩემპიონია საბჭოთა ძალოსანთაგან მიმდინარე ტურნირში. ამასთან, აკვრაში ნაჩვენები შედეგი მისსავე მსოფლიო რეკორდს 3,5 კილოგრამით აღემატება. II ადგილზე დარჩა ბაშანოვსკი — 447 კგ. ხოლო III — დიტრიხი — 442,5 კგ. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ძალოსნები ლიდერობენ—21 ქულა. პოლონელებს 18 ქულა აქვთ.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. კურენცოვი.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 20 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 30 | 20 | 9 | 1 | 60—12 | 49 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 30 | 15 | 7 | 8 | 48—24 | 37 |
| ცსკა | 29 | 15 | 7 | 7 | 55—37 | 37 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 30 | 14 | 8 | 8 | 47—30 | 36 |
| ასკ (როსტოვი) | 29 | 15 | 5 | 9 | 44—40 | 35 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 27 | 12 | 9 | 6 | 37—31 | 33 |
| „დინამო" (თბილისი) | 29 | 11 | 10 | 8 | 37—26 | 32 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 29 | 8 | 15 | 6 | 26—26 | 31 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 29 | 13 | 5 | 11 | 28—30 | 31 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 30 | 10 | 10 | 10 | 37—31 | 30 |
| „დინამო" (მინსკი) | 30 | 10 | 10 | 10 | 32—34 | 30 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 30 | 10 | 10 | 10 | 24—30 | 30 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 32 | 10 | 8 | 14 | 33—47 | 28 |
| „არარატი" (ერევანი) | 30 | 8 | 10 | 12 | 22—41 | 26 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 30 | 7 | 11 | 12 | 24—33 | 25 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 30 | 8 | 4 | 18 | 26—42 | 20 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 7 | 6 | 16 | 34—52 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 30 | 3 | 14 | 13 | 17—37 | 20 |
| ასკ (ოდესა) | 29 | 1 | 10 | 18 | 13—43 | 12 |

„დინამო" (კიევი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 3:0,
„ტორპედო" (მოსკოვი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო) 1:2.
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:1.

### „ა" კლასი IV ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ოქტომბრისთვის

| | თ | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 38 | 22 | 9 | 7 | 80—40 | 53 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 38 | 21 | 8 | 9 | 56—33 | 50 |
| „მეშაიტე" (ტყიბული) | 38 | 19 | 10 | 9 | 64—34 | 48 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 37 | 17 | 10 | 10 | 37—24 | 44 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 38 | 18 | 7 | 13 | 62—40 | 43 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 38 | 17 | 9 | 12 | 38—33 | 43 |
| „მაშინოსტროიტ" (პიატიგორ.) | 38 | 15 | 12 | 11 | 48—37 | 42 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 38 | 17 | 6 | 15 | 46—43 | 40 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 38 | 14 | 12 | 12 | 37—38 | 40 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 38 | 16 | 7 | 15 | 59—38 | 39 |
| „დილა" (გორი) | 38 | 15 | 9 | 14 | 35—39 | 39 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 38 | 16 | 6 | 16 | 48—52 | 38 |
| „დინამო" (სოხუმი) | 38 | 13 | 10 | 15 | 45—44 | 33 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 38 | 11 | 14 | 13 | 43—43 | 36 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 38 | 14 | 7 | 17 | 46—47 | 35 |
| „დინამო" (მახარაძე) | 38 | 9 | 16 | 13 | 40—50 | 34 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 38 | 10 | 7 | 21 | 44—64 | 27 |
| „არაქსი" (ერევანი) | 38 | 10 | 7 | 21 | 31—57 | 27 |
| „ურალანი" (ელისტა) | 38 | 7 | 10 | 21 | 31—81 | 24 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 37 | 7 | 6 | 24 | 36—88 | 20 |

## ციფრები, ფაქტები!

◆ მ ო ს კ ო ვ ი. 19 ოქტომბერი. ობერჰაუზენიდან სამშობლოში დაბრუნდა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა გუნდი (ნ. გაფრინდაშვილი, ტ. ზატულოვსკაია და ვ. კოზლოვსკაია), რომელმაც მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და ვერა მენჩიკის სახელობის თასი.

◆ მ ე ხ ი კ ო, 19 ოქტომბერი. „სპორტის II საერთაშორისო კვირეულში" დაიწყო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ტურნირის სენსაცია იყო 5000 მეტრზე რბენაში ნაკლებად ცნობილი კოლუმბიელი სტაიერის ა. მეიას გამარჯვება — 14.20,0. ასეთივე შედეგით II ადგილზე გავიდა მ. გამუდი (ტუნისი). III იყო მოსკოველი ი. ტიურინი — 14.29,8. სიმაღლეზე ხტომა მოიგო ვ. სკვორცოვმა (მოსკოვი) — 212 სმ, 100 მეტრზე რბენა — ე. ფიგეროლამ (კუბა)—10,4. ველოსიპედისტთა ტურნირში (სპრინტი) ო. ფხაკაძე მეოთხედფინალში გავიდა.

## საპრიზო ადგილი უკვე რეალობაა

მ ო ს კ ო ვ ი, 19 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის IV კალენდარულ დღეს თბილისის დინამოელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. ამჯერად მათ კიეველი თანაკლუბელები დაამარცხეს — 3:1. ანგარიში შეხვედრის მე-5 წუთზე 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გახსნა ჩიქვანაიამ. 1 წუთის შემდეგ მანვე მეორე ბურთი გაიტანა კიეველთა კარში. II პერიოდში უკრაინელმა წყალბურთელებმა ერთი გოლი გაქვითეს, მაგრამ თბილისელთა ახალგაზრდა თავდამსხმელმა ისელიძემ მეტოქის კარის ბადე მესამედ შეარხია. შეხვედრის ბოლო წუთებში ჩვენს გუნდს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ ვერ გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა.

საინტერესო დეტალი: თბილისის „დინამომ" მოსკოვში უკვე 4 თამაში ჩაატარა და ქულათა მაქსიმუმი (8) დააგროვა. I წრეში, იმავე გუნდებთან შეხვედრებში (ლენინგრადის „სპარტაკი" და „ბალტიკა", აგრეთვე, მოსკოვისა და კიევის „დინამო"), ჩვენმა წყალბურთელებმა მხოლოდ 1 ქულა აიღეს (ფრე ლენინგრადის „სპარტაკთან").

რა მოხდა? გუნდს დაუბრუნდა ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელი გ. ჩიქვანაია, მისმა მოსვლამ დინამოელთა ტაქტიკური ნახაზი შესამჩნევად გარდაქმნა. გაიზარდა თავდამსხმელთა შედეგიანობა, გაძლიერდა დაცვის ხაზი, თამაში უფრო მყარი გახდა, საიმედო და აზრიანი ელფერი მიიღო. და რაც იქნებ ყველაზე მთავარია, — ლიდერის მოსვლამ კოლექტივი მორალურად შეაკავშირა. „დინამოს" წყალბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა დაუბრუნდათ. თბილისელ სპორტსმენებს ჩემპიონატში ჩასატარებელი აქვთ 2 მატჩი: ლვოვის „დინამოსთან" და მოსკოვის „ტორპედოსთან". წარმატების შემთხვევაში ჩვენს გუნდს საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი უჩნდება. სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება კი უკვე გაინაღდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდმა.

მოგვყავს ლიდერთა ექვსეულის მდგომარეობა. ცხრილში შეტანილი არ არის დღევანდელი შეხვედრების შედეგები, მათ შორის — თბილისელთა გამარჯვება კიევის „დინამოსთან".

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| ცვსკ ვმფ | 19 | 35 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 19 | 27 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 19 | 26 |
| „დინამო" (თბილისი) | 19 | 26 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 19 | 22 |
| „დინამო" (კიევი) | 19 | 22 |

ზ. ჯაფარიძე.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები სასტენდო სროლაში — მარცხნივ — ვ. ალავერდოვი (ადგილიდან) და მარჯვნივ — ტ. ულენტი (მრგვალ სტენდზე).

ფოტო ო. გელაშვილისა.









# ჯვრის მონასტრის მიდამოებში...

## ტურისტთა რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრება

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით გასულ შაბათ-კვირას ჯვრის უძველესი მონასტრის კედლებთან მოეწყო ტურისტთა რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 1000-ზე მეტი სპორტსმენი. აქ იყვნენ „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, „სპარტაკის“, სპორტული კლუბების — „გამარჯვების“, „განთიადის“, „ფეიქრის“, „სინათლის“ გუნდები, აგრეთვე, საშუალო და მუშა-ახალგაზრდობის სკოლების, ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო სადგურის, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ტურისტები. სტუმრად მოწვეულნი იყვნენ საწყლოსნო მარშრუტების ტურისტული ბაზების უფროს ინსტრუქტორთა საკავშირო შეკრების მონაწილენიც. ისინი ჩამოვიდნენ ალტაის მხრიდან, ბელორუსიიდან, ბაშკირეთიდან, პერმის, ივანოვოს, სვერდლოვსკისა და სხვა ოლქებიდან. ალაზანზე მოეწყო 250-კილომეტრიანი ლაშქრობა ბაიდარებით. სხვათა შორის, ალაზანზე გაიხსნება რესპუბლიკაში I საკავშირო საწყლოსნო მარშრუტი.

კვირას, 10 საათზე, მოეწყო მონაწილეთა აღლუმი, აღმართეს შეკრების ალამი და შემდეგ დაიწყო სპორტული ჭიდილი.

ასპარეზობა გახსნეს მოტოციკლისტებმა. 150 კბ სმ მანქანებით შეჯიბრებაში I ადგილი დაისაკუთრა გორის ბამბეულის კომბინატის სპორტსმენმა ა. ადამოვმა. „175-ანებით“ რბოლისას ყველას აჯობა თბილისის ელმავალსაშენი ქარხნის მუშამ გ. ჭიჭინაძემ, ხოლო „350-ანებით“ ასპარეზობაში ტოლი არ ჰყავდა „განთიადის“ წარმომადგენელს ტ. გლოველს, რომელმაც ფინიშთან რამდენიმე მეტრით მიასწრო გორელ დ. ცერცვაძეს. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის ელმავალსაშენი ქარხნის წარმომადგენლებმა.

41 გუნდი მონაწილეობდა ტურისტულ მრავალჭიდში (ესტაფეტა). ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა რბენა ზურგჩანთით, კარვის გაშლა, კოცონის დანთება და წყლის ადუღება. აქ გუნდური I ადგილი დაიკავეს ფიზკულტურის ინსტიტუტის II გუნდის წარმომადგენლებმა — 14.46,0. მოსწავლეთა შორის ყველას აჯობეს ლენინის რაიონის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

საინტერესო იყო შეჯიბრება ტურისტულ ორიენტირებაში, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის შედარებით ახალგაზრდა სახეობაა. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 21 გუნდი. მოსწავლეებისთვის საასპარეზო ტრასის სიგრძე 3 კმ იყო, ქალებისთვის — 5, ხოლო ვაჟებისთვის — 9. გამარჯვება თბილისის მე-17 საშუალო სკოლის წარმომადგენლებს ხვდათ. ქალებში ყველას აჯობა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. არუთინოვამ, II ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ი. თუმანიშვილი, ხოლო III — „განთიადის“ წარმომადგენელი ნ. ჩერნობროვა. ვაჟებში I იყო განთიადელი ა. შუსტოვი, II — „გამარჯვების“ წარმომადგენელი გ. სტარჩიკი, ხოლო III — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენი რ. ხუნდაძე. მოზრდილთა შორის გუნდურ ჩათვლაში პირველობა დაისაკუთრეს სპორტკლუბ „განთიადის“ ტურისტებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველა ჩამოიტოვა „განთიადის“ კოლექტივმა, რომელსაც გადაეცა შოთა რუსთაველის სახელობის დიდი პრიზი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელი და ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს პირველი ხარისხის დიპლომი. მოსწავლეთა შორის ასეთივე წარმატება ხვდათ თბილისის ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების წარმომადგენლებს.

მ. უთმელიძე,
სპორტის ოსტატი, შეკრება-შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
მ. ლეჟავა.

# მეღვინეთა საზრუნავი

თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩას რომ აჰყვებით, თვალში მოგხვდებათ პატარა ფირნიში: „ღვინის ქარხანა № 1“. მოდით თქვენთან ერთად დავინტერესდეთ თუ როგორ მონაწილეობენ მეღვინეები სპორტულ საქმიანობაში და შევაღოთ ქარხნის კარები...

საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივნის ლ. გვენცაძის თანხლებით ვათვალიერებთ. კომკავშირელთა თავკაცი გზადაგზა მოგვითხრობს:

— ქარხანაში 220 კაცი მუშაობს, მათგან ჯერჯერობით მხოლოდ მეოთხედია ჩაბმული ფიზკულტურულ მეცადინეობაში. 1964 წელს ქარხანას კომუნისტური შრომის საწარმოს სახელი მიენიჭა და ამ საპატიო წოდების მოპოვებაში ჩვენს ფიზკულტურელებს პატარა წვლილი როდი მიუძღვით. ისინი ყოველთვის შრომითს ავანგარდში არიან. აი, ზოგიერთი მათგანიც: ფრენბურთელები ო. ტოგონიძე და ი. შაფაქიძე, მაგიდის ჩოგბურთელები პ. კაპანაძე, ვ. ღვინერია, დ. თიგიშვილი, ა. ჯაფარიძე და სხვ.

ქარხნის მუშებთან საუბრისას გავიგეთ, რომ ლ. გვენცაძე ამ საწარმოში აგერ უკვე 11 წელია მუშაობს. ახლა იგი ჩამომსხმელ საამქროში კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს, სათავეში უდგას, აგრეთვე, ფრენბურთელთა სექციას...

აი, რას მოგვითხრობს ფრენბურთელთა სექციაზე თვით ლ. გვენცაძე:

— თავდაპირველად ძალიან გაგვიჭირდა, პირველ ვარჯიშზე მხოლოდ 5 კაცი მოვიდა... შემდეგ კი ყინული გალხვა და შეიქმნა ბრძოლისუნარიანი კოლექტივი. მართალია, პირველად კარგი შედეგებით ვერ დავიტრაბახებდით, მაგრამ ახლა ჩვენი სპორტსმენები ცუდად როდი თამაშობენ. სექციაში მომეცადინე 18 სპორტსმენიდან 10 მესამეთანრიგოსანია და მალე ალბათ II თანრიგსაც შესწვდება. ამის საფუძველს ის გვაძლევს, რომ ახალგაზრდებისაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა ამ ზაფხულს ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ფრენბურთელთა მასობრივ შეჯიბრებაში III საპრიზო ადგილი დაიკავა. მანამდე კი რაიონის II ჯგუფის კოლექტივთა შორის ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ერთი სიტყვით, დასაწყისი კარგია, ვეცდებით წარმატებათა რიცხვი ვამრავლოთ...

ფრენბურთელთა გარდა, ქარხანაში მუშაობენ ჭადრაკის, სროლის, შაშისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები. მაგრამ ცუდი ისაა, რომ, მსროლელთა გარდა, ამ სექციებში ჯერჯერობით თანრიგოსნები არ მოუმზადებიათ. საჭიროა ჟოველდღიური ვარჯიში და, რაც მთავარია, შეჯიბრებებში მონაწილეობა.

ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს რ. ყაჯრიშვილსა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტს ჩ. ხმელიძეს ჯერ კიდევ დიდი შრომა აქვთ გასაწევი იმისთვის, რომ მეტი რაოდენობით ჩააბან უფროსი ასაკის თანამშრომლები ფიზკულტურულ საქმიანობაში.

ფიზკულტურის თავკაცებს ეს კარგად ესმით და იმედია, ახლო მომავალში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ამ უბანზეც იმარჯვებენ მეღვინეები.

ვ. ბუკია.

# სპორტულ მოედნებზე — მეცნიერები

გრძელდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების III სპარტაკიადა. დამთავრდა შეჯიბრება კიდევ ერთ სახეობაში. ამჯერად, ფინიშის სწორზე გავიდნენ მოჭადრაკენი. 64-უჯრიან დაფებთან ბრძოლა 8 გუნდმა გამართა. თავდაპირველად მოჭადრაკენი ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ.

I ქვეჯგუფში უძლიერესი იყო გამოთვლითი ცენტრის გუნდი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და 14,5 ქულა დააგროვა. გამოთვლითი ცენტრის წარმომადგენლებმა დაამარცხეს სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის (5:1), მეცნიერებათა აკადემიის (5,5:0,5) და ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის (4:2) გუნდები.

II ქვეჯგუფში იმარჯვეს ბოტანიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა (12 ქულა), რომლებმაც მოუგეს არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის (5.5:0,5), კიბერნეტიკის (4:2) ინსტიტუტების კოლექტივებს, ხოლო დამარცხდნენ ფიზიკის ინსტიტუტის მოჭადრაკეებთან (2,5:3,5).

გამოთვლითი ცენტრისა და ბოტანიკის ინსტიტუტის სპორტსმენთა ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვეს გამოთვლითი ცენტრის მოჭადრაკეებმა — 4,5:1,5. III ადგილისთვის ბრძოლაში სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა ფიზიკის ინსტიტუტის მოჭადრაკეთა კოლექტივი — 4:2.

ამგვარად, სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული 9 სახეობიდან ექვსში უკვე დამთავრდა შეჯიბრება. უახლოეს ხანში დასრულდება ასპარეზობა ფეხბურთში, კალათბურთში და მაგიდის ჩოგბურთში. ჯერჯერობით საერთო-გუნდურ ჩათვლაში ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა აქვს არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ნაკრებ კოლექტივს (20 ქულა). მას მოსდევენ გამოთვლითი ცენტრი (24), ბოტანიკისა (27) და კიბერნეტიკის (29) ინსტიტუტები.

ჯ. ენდელაძე.

# სტადიონს მოვლა უნდა

საჩხერის რაიონის სოფელ გორისის კოლმეურნეობის ფეხბურთის მინდორი პირუტყვის სათარეშოდ იქცა. აქაურმა ახალგაზრდებმა ბევრჯერ სთხოვეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პ. დონაძეს — მინდორი შემოგვიღობეთ და კეთილმოაწყეთო, მაგრამ ვერ იქნა და საქმეს თავი ვერავინ მოაბა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უნდა ახსოვდეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ ყველასთვის სავალდებულოა.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

საჩხერის რაიონი.



# როდის?

ქუთაისის ბარიტის ქარხნის პროდუქციამ შორს გაითქვა სახელი. მისი ნაწარმი საზღვარგარეთაც გააქვთ. საწარმოს წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით ფიზკულტურელებსაც, მაგრამ მათი ინტერესებისათვის ქარხნის ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავს. აბა სხვაგვარად რით აიხსნება, რომ დღემდე მოუწყობელია სპორტული ბაზები, შეუქმნელია სექციები, დაბალ დონეზე დგას მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა.

ყოველივე ამის შესახებ ბევრჯერ იმსჯელეს კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების კრებებზეც. მაგრამ მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა იმიტომ, რომ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისთვის არავინ ზრუნავს.

საინტერესოა, როდის ექნებათ მებარიტეებს საკუთარი ბაზები, როდის შეიქმნება აქ სექციები?

ქ. ქუთაისი. ი. ბუხაიძე.

# აგარელები უკეთ ასპარეზობდნენ

ქარელის რაიონის პიონერთა პირველობამ მძლეოსნურ ოთხჭიდში ორ დღეს გასტანა. შეჯიბრებაში თითო კოლექტივიდან 6 ჭაბუკი და ამდენივე გოგონა მონაწილეობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს აგარელმა გოგონებმა და ქარელის მე-2 სკოლის ჭაბუკებმა.

პირად პირველობაში 60 მეტრზე რბენა და სიგრძეზე ხტომა მოიგო აგარელმა ა. ლუკიჩმა — 8,5 წამი და 435 სმ. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა ა. რულოვამ — 135 სმ, ხოლო ბურთის ტყორცნაში — ნ. იკოშვილმა (აგარა) — 49 მ. ოთხჭიდში პირველობა დაისაკუთრა ლუკიჩმა — 283 ქულა.

60 მეტრზე ჭაბუკთა რბენაში ყველას აჯობა მოხისელმა ი. მელიქიძემ — 8,4, სიგრძეზე ხტომაში — ა. მურჯიკნელმა (აგარა) — 486 სმ. სიმაღლეზე ხტომაში ერთნაირი შედეგები აჩვენეს ქარელელმა პიონერებმა თ. ბეროზაშვილმა და ი. ეკალაძემ — 140 სმ. მათმა თანაგუნდელმა ს. ეკალაძემ მოიგო ბურთის ტყორცნა — 56,16. ოთხჭიდში შეჯიბრებამ გამარჯვება თ. ბეროზაშვილს მოუტანა — 254 ქულა.

გ. ლურსმანაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა













# ჯიმშერ ხოშებაევის „ოქრო" და „ბრინჯაო"

მეხიკო, 18 ოქტომბერი. „სპორტის II საერთაშორისო კვირეულში" დამთავრდა მოცურავეთა და ნიჩბოსანთა შეჯიბრებები. ნიჩბოსნებმა 14 გაცურვაში გაითამაშეს ფინალი. შესანიშნავად იასპარეზა მცხეთელმა სპორტის ოსტატმა ჯიმშერ ხოშებაევმა, რომელმაც ჯერ ერთადგილიანი კანოეთი 500 მეტრზე რბოლაში ისახელა თავი და III ადგილი დაიკავა, ხოლო შემდეგ უნგრელ ვიხმანთან ერთად ორადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე რბოლაში „ოქრო" მოიპოვა.

მოცურავეთა ასპარეზობა ორ დღეს გაგრძელდა. ამ სახეობის ცალკეულ დისტანციებზე საუკეთესონი იყვნენ: ქალებში—კ. კოლბი (აშშ)—400 მეტრზე თავისუფალი სტილით (4.53,3) და 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.36,6 და 5.37,1), კ. მანდონო (საფრანგეთი) — 200 მეტრზე თავისუფალი სტილით (2.19,7), კ. ბოლი (აშშ) — 100 და 200 მეტრზე ბრასით (1.19,3 და 2.51,4) და სხვ.

ვაჟთა ტურნირში აღსანიშნავია რამდენიმე შედეგი. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ყველას აჯობა ა. მოსკონმა (საფრანგეთი) — 4.23,8, ხოლო 1500 მეტრზე — მექსიკელმა გ. ეჩივარიამ — 17.40,2. 100 მეტრზე ბრასით ცურვის ფინიშთან პირველი მიიჭრა მ. ჯოვანინი (იტალია) — 1.12,5, 200 მეტრზე კი — უნგრელი ფ. ლენკაი — 2.39,6. ამერიკელი სპორტსმენის ჩ. ხიკოკსის გამარჯვებით დამთავრდა 100 და 200 მეტრზე ზურგზე ცურვა— 1.02,2 და 2.18,7.

როგორც ხედავთ, მოცურავეთა აქაური მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩება მსოფლიო რეკორდებს, რასაც სპეციალისტები მეხიკოს ბუნებრივი პირობების სირთულით ხსნიან.

## საქართველოს პირველობა

16 ოქტომბერს გაიმართა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

### I-X ადგილები

● **„კოლხეთი" (ცხაკაია) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. მედვედევი (რუსთავი).**

მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეთაგან ვერც ერთმა ვერ შეძლო კარის აღება, თამაში მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. მცველებმა შეძლეს დაეცვათ კარის უხიფათობა.

● **„ფეიქარი" (წულუკიძე) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).**

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში არ დამცხრალა ტემპიანი ბრძოლა მინდვრის შუაგულში. წულუკიძელთა საერთო უპირატესობა შესამჩნევი შეიქმნა მხოლოდ შესვენების შემდეგ. „ფეიქრის" თავდამსხმელმა აზვლედიანმა მოუსწრო ძელიდან უკუგდებულ ბურთს და გახსნა ანგარიში. შემდგომში მანაგაძემ საბოლოოდ განამტკიცა მასპინძელთა გამარჯვება.

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).**

ზესტაფონელ ფეხბურთელებს მეორე ტაიმში რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ აეღოთ მეტოქის კარი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აქნა გამოყენებული.

● **„განთიადი" (ბორჯომი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:1. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).**

ანგარიში გაიხსნა მხოლოდ მეორე ტაიმის 32-ე წუთზე ბორჯომელი საფაროვის მიერ. „გურია" თავგამოდებით ცდილობდა საპასუხო ბურთის გატანას და ეს მატჩის დასასრულს შეძლო მებურიშვილმა. მოწინააღმდეგეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

● **„შუქურა" (ქობულეთი) — „მესხეთი" (ახალციხე) 6:3. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი)**

ტაიმის დასასრულს „შუქურა" დამაჯერებლად იგებდა თამაშს — 3:0, ხოლო შესვენების შემდეგ მღებრიშვილმა კიდევ ერთი ბურთი გაგზავნა „მესხეთის" კარში — 4:0. ახალციხელებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა, რასაც მოჰყვა მანელიშვილის მიერ გატანილი მეხუთე ბურთი. ახალციხელებმა მარცხს კონტრშეტევით უპასუხეს და ტოპოკანიამ 1 ბურთით შეამცირა სხვაობა — 2:5. მატჩის დასასრულამდე მოწინააღმდეგეთა კარებში კიდევ თითო ბურთი იქნა გატანილი და გამარჯვება დიდი ანგარიშით ქობულეთელებს დარჩათ.

### XI-XXIV ადგილები

● **„ბახმარო" (ჩოხატაური) — „დინამო" I (თბილისი) 3:0. მსაჯი ო. მურვანიძე (ბათუმი).**

სამივე ბურთი დინამოელთა კარში გაიტანა „ბახმაროს" თავდამსხმელმა თავბერიძემ.

● **„მაღაროელი" (ჭიათურა) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 1:1. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).**

ანგარიში გახსნა სტუმართა თავდამსხმელმა ზარანდიამ. საპასუხო გოლი გატანილ იქნა მატჩის დასასრულს ჯოხაძის მიერ.

● **„ისანი" (თბილისი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 1:2. მსაჯი ა. ცაგარეიშვილი (თბილისი).**

● **„დინამო" (ქუთაისი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:3. მსაჯი ნ. ამირაჯიბი (თბილისი).**

სტუმრებმა დიდი ალმავლობით ჩაატარეს თამაში და 3 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში. „დინამომ" ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა 11-მეტრიანი დარტყმით.

● **„ქართლი" (გორის რ-ნი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:1. მსაჯი ვ. ლარინი (რუსთავი).**

• • •

მოგვყავს გამოტოვებული ტურების შეხვედრათა ტექნიკური ანგარიშები: **I-X ადგილები:** „კოლხეთი" (ცხაკაია) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 0:0, „სინათლე" (თბილისი) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 1:2, „მერცხალი" (მახარაძე) — „განთიადი" (ბორჯომი) 1:1, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:2, „გურია" (ლანჩხუთი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:1, „შუქურა" (ქობულეთი)— „გურია" (ლანჩხუთი) 2:4, „მესხეთი" (ახალციხე) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 2:2, „განთიადი" (ბორჯომი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:1, „მერცხალი" (მახარაძე) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 0:1. **XI-XXIV ადგილები:** „დინამო" I (თბილისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 1:2, ასკ (თბილისი) — „ნარინჯი" (ბათუმი) 0:1, „ირისთონი" (ცხინვალი) — „დინამო" (ქუთაისი) 4:2, „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ისანი" (თბილისი) 2:1, „ოდიში" (ზუგდიდი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 3:2, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:2.

ზონებში გამარჯვებული გუნდების ტურნირი: **I ქვეჯგუფი.** ახალქალაქი — კასპი 0:0, ადიგენი — სიღნაღი 2:2, კასპი — სიღნაღი 2:2. ახალქალაქის გუნდმა ვერ უზრუნველყო წესრიგი საკუთარ მინდორზე ადიგენელებთან მატჩში, რისთვისაც მას ჩაეთვალა დამარცხება. **II ქვეჯგუფი:** ქედა — „დინამო" (ოჩამჩირე) 2:3, აბაშა — თერჯოლა 4:1, „დინამო" (ოჩამჩირე)— აბაშა 5:0, „ავიატორი" (ქუთაისი) — ქედა 2:0.

ჩვენს სურათებზე აღბეჭდილია ჯვრის მონასტრის მიდამოებში გამართული ტურისტთა რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების ამსახველი მომენტები. ზურგჩანთააკიდებული ტურისტები გზას გაუდგნენ (სურ. 1). თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ზეინკალი, ტურისტული სექციის ხელმძღვანელი გ. შავდია გულმოდგინედ აწყობს კარავს (სურ. 2). ტურისტულ ლაშქრობას თან ახლავს წყლის ადუღებაც. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ა. მხეიძე (მარცხნივ) და გ. რატიანი სწორედ ამ პროცედურას ასრულებენ (სურ. 3). შესვენებისას განსაკუთრებით გემრიელად გერგება საჭმელი (სურ. 4). საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა ასპარეზობა მოტოროლერებით (სურ. 5). არ დაიკარგოს არც ერთი წუთი! თბილისის 38-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ნ. ხიზანიშვილი (მარჯვნივ) ტურისტულ ესტაფეტას გადასცემს თანაგუნდელს (სურ. 6). მოასპარეზეებმა ფეხბურთის სათამაშოდაც გამონახეს დრო (სურ. 7).

ფოტო ა. კავკასიძისა და ბ. ქვათაძისა.

# გათამაშების ცხრილები

## I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისათვის

### I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შუქურა" (ქობულეთი) | 10 | 7 | 2 | 1 | 29—20 | 16 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 7 | 3 | 4 | 0 | 11—6 | 10 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 8 | 3 | 4 | 1 | 10—7 | 10 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 9 | 4 | 2 | 3 | 11—10 | 10 |
| „სინათლე" (თბილისი) | 8 | 3 | 2 | 3 | 18—8 | 8 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 8 | 2 | 3 | 3 | 6—7 | 7 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 10 | 1 | 5 | 4 | 9—13 | 7 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 7 | 3 | 1 | 3 | 11—16 | 7 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 9 | 1 | 4 | 4 | 7—13 | 6 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 10 | 0 | 5 | 5 | 13—22 | 5 |

### XI-XXIV ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 4 | 3 | 1 | 0 | 10—4 | 7 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 5 | 3 | 1 | 1 | 9—6 | 7 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 6 | 2 | 3 | 1 | 8—6 | 7 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 4 | 3 | 1 | 0 | 4—3 | 7 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 6 | 3 | 0 | 3 | 8—5 | 6 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 5 | 2 | 1 | 2 | 5—5 | 5 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 5 | 2 | 1 | 2 | 7—9 | 5 |
| „ირისთონი" (ცხინვალი) | 5 | 1 | 2 | 2 | 8—8 | 4 |
| „ისანი" (თბილისი) | 4 | 1 | 1 | 2 | 8—8 | 3 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 5 | 1 | 1 | 3 | 9—12 | 3 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—1 | 3 |
| ასკ (თბილისი) | 3 | 0 | 1 | 2 | 3—5 | 1 |
| „დინამო" I (თბილისი) | 3 | 0 | 0 | 3 | 2—9 | 0 |

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 22 | 16 | 3 | 3 | 52—14 | 35 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 21 | 16 | 2 | 3 | 40—18 | 34 |
| „ალაზანმშენი" (თელავი) | 22 | 13 | 2 | 7 | 36—31 | 28 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 22 | 10 | 5 | 7 | 35—34 | 25 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 22 | 9 | 6 | 7 | 28—30 | 24 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 22 | 10 | 3 | 9 | 36—27 | 23 |
| „გახტრიონი" (ახმეტა) | 22 | 6 | 9 | 7 | 15—25 | 21 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 22 | 7 | 6 | 9 | 39—43 | 20 |
| „სამცხე" (აწყური) | 21 | 6 | 7 | 8 | 23—32 | 19 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 22 | 4 | 7 | 11 | 10—14 | 15 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 22 | 4 | 5 | 13 | 16—25 | 13 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 22 | 1 | 3 | 18 | 25—62 | 5 |

### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აერო" (გალი) | 24 | 15 | 8 | 1 | 40—15 | 38 |
| „ლაითური" (მახარაძე) | 23 | 14 | 7 | 2 | 32—15 | 35 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 24 | 13 | 7 | 4 | 48—28 | 33 |
| „სულორი" (ვანი) | 23 | 11 | 8 | 4 | 31—20 | 30 |
| „კოლხიდა" (ხობი) | 23 | 11 | 5 | 7 | 36—22 | 27 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 24 | 10 | 7 | 7 | 27—37 | 27 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 23 | 9 | 6 | 8 | 40—28 | 24 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 24 | 8 | 8 | 8 | 40—37 | 24 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 24 | 8 | 6 | 10 | 34—37 | 22 |
| „ცისარტყელა" (თბილისი) | 24 | 11 | 0 | 13 | 30—34 | 23 |
| „კოლხიდმშენი" (ფოთი) | 24 | 4 | 3 | 17 | 26—46 | 11 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 24 | 4 | 1 | 19 | 22—54 | 9 |
| „ცისკარა" (ბათუმი) | 24 | 2 | 2 | 20 | 12—45 | 6 |

შენიშვნა: გალის „აერომ" გაინაღდა პირველი ადგილი თავის ზონაში.

# მასპინძლის ლიხნი



ჩეხვაში გამარჯვებული ვ. ხაგბა.

ოთხ დღეს გრძელდებოდა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სოხუმის, გუდაუთის, გალის რაიონების, თბილისის, ზუგდიდისა და ფოთის სპორტსმენები.

პირველობა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისა და საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისთვის მზადების ნიშნით ჩატარდა.

პირველობა „გახსნის პრიზზე" დაბრკოლებათა გადალახვით დაიწყო. ყველას აჯობა გულრიფშის რაიონის წარმომადგენელმა დ. ხოფერიამ. II ადგილზე გავიდა თბილისელი გ. გაშიბაიაზოვი.

წმინდა სისხლის ცხენებით ერთკილომეტრიან დოღში გუდაუთელმა კ. ჯენიამ გაიმარჯვა, ხოლო ადგილობრივი ჯიშის ცხენებით ასპარეზობა მოიგო მისმა თანაგუნდელმა ა. ლაკერბაიამ.

ახალგაზრდა ცხენებით სამჭიდში შეჯიბრება მოიგო გუდაუთელმა გ. გუმბამ, რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი მხედრები ა. დგებუაძე და ვ. პაისარიდი. პირველმა გაიმარჯვა დაბრკოლებათა გადალახვაში „მცირე პრიზზე", ხოლო მეორემ — „საშუალო პრიზზე" დაბრკოლებათა გადალახვაში. ორჭიდში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა გუდაუთელმა ი. ფილიამ.

„საქართველოს თასზე" დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა თბილისელ მ. ბოლქვაძესა და გუდაუთელ ა. ლაკერბაიას შორის. გამარჯვება გუდაუთელს ხვდა. ბოლქვაძე II ადგილს დასჯერდა.

შეჯიბრების ბოლო დღეს მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები სპორტის ეროვნულ სახეობებში — ისინდსა და ჩეხვაში. ამავე დღეს გაიმართა სადა დოღი ყაბარდოული ჯიშის ცხენებისთვის 3 კილომეტრზე და წმინდა სისხლის ცხენებისთვის 2 კილომეტრზე. ორივე სახეობაში გუდაუთის საცხენოსნო სპორტული კლუბის ჭაბუკმა მხედარმა ა. არძინბამ ისახელა თავი.

ოთხდღიანი ბრძოლის შემდეგ გარდამავალი პრიზი საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის მოიპოვეს გუდაუთელებმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ლ. პანბა). II ადგილზე არიან თბილისელი სპორტსმენები, ხოლო III — ზუგდიდელები.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

გუდაუთის რაიონი.



ა. ლაკერბაია წინაღობის გადალახვისას.

# ახალი ამბები

● ბუდაპეშტი, 18 ოქტომბერი. უნგრეთის დედაქალაქში ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა ტურნირი ძიუდოში, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა ათლეტები. მათ დაისაკუთრეს 3 პირველი, 2 მეორე და 1 მესამე ადგილი. მოსკოველმა ვ. პანკრატოვმა (ქვემძიმე წონა) ყველა 5 შეხვედრა წმინდად მოიგო.

● ბონი, 18 ოქტომბერი. გფრ-ში ტურნეს ატარებს სსრ კავშირის ჩემპიონი მოტობურთში — „დომბაის" გუნდი. სტუმრებმა პირველი მატჩი დასავლეთ გერმანიის ჩემპიონ „ტაიფუნთან" გამართეს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1. საბჭოთა მოტობურთელებს ჩასატარებელი დარჩათ 2 შეხვედრა, შემდეგ კი საფრანგეთში გაემგზავრებიან.

● ვარშავა, 19 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის მოტოციკლისტებმა პოლონეთში 7 მატჩი ჩაატარეს წიდიან ბილიკზე. სტუმრებმა მოიგეს 4, ფრედ დაამთავრეს 1 და წააგეს 2 შეხვედრა. შედეგები დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან პოლონეთის გუნდი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია ამ სახეობაში. მასპინძლებმა ცნობილ სპორტსმენებთან ჭიდილში რამდენიმე ახალგაზრდა ათლეტი „გასინჯეს". ახალგაზრდები ჩვენს გუნდშიც იყვნენ. მათგან „გამოცდები" კარგად ჩააბარეს ბ. ცეხანოვიჩმა (ბალაკოვო), ს. ლიატოსინსკიმ, ე. მიხელმა (ორივენი — ლვოვი), ა. ბელკინმა (ლენინგრადი) და სსრ კავშირის პირველობის III პრიზიორმა ვ. სოკოლოვმა (სალავათი).

● უჟგოროდი, 18 ოქტომბერი. ამ რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, ვილნიუსში, კიევსა და არმავირში სტარტი მიეცა 1966 წლის ავტორალის, რომელშიც გამოდიოდა „ვოლგის", „მოსკვიჩისა" და „ზაპოროჟეცის" 108 ეკიპაჟი. რალის მონაწილეთა გზები კიევში შეერთდა, აქედან კი მანქანებმა კურსი ლვოვისა და უჟგოროდისკენ აიღეს. რამდენიმე ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ გამოირკვა კომპლექსურ მრავალჭიდში გამარჯვებული. სსრ კავშირის ჩემპიონი „ვოლგებში" გახდა ლვოვის დუეტი — ე. კრივდიკი და ს. ნაიმენოვიჩი, „მოსკვიჩებში" — არმიელები ი. კოზლოვი და ვ. ილინი, ხოლო „ზაპოროჟეცებში" — მოსკოველები ი. მიხაილოვი და ე. მაიოროვი. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ ლიტველი ავტომობილისტები.

● კაუნასი, 17 ოქტომბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ბადმინტონში. ქალთა ერთეულების ასპარეზობა მოიგო ნატაროვამ (უკრაინა). II ადგილზე გავიდა ბარანოვა (რსფსრ), III — უკი (ლენინგრადი). ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ვავილოვი (მოსკოვი). II ადგილზეა ერმოლაევი (უკრაინა), III — კლიმოვი (მოსკოვი). ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს ნოვიკოვა—მიაკიშკოვამ (უკრაინა). საპრიზო ადგილებზე არიან კოროვკინა — სუხარევა (მოსკოვი), კოჩეტკოვა—შმაკოვა (რსფსრ). ვაჟთა წყვილებში ტოლი არ ჰყავდათ ვავილოვ — ბლიტშტეინს (მოსკოვი). მომდევნო ადგილებზე არიან ერმოლაევი — შვაჩკო (უკრაინა), ბარშახი — პეშეხონოვი (უკრაინა). შერეულ წყვილთა ასპარეზობაში ყველას აჯობეს კოჩეტკოვა — ვავილოვმა. II ადგილზე დარჩნენ ბარანოვა — ერშოვი (რსფსრ), III — ნოვიკოვა — პეშეხონოვი (უკრაინა).

● კაუნასი, 18 ოქტომბერი. აქაურ სპორტის სასახლეში ბადმინტონისტები შეცვალეს სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობის მონაწილეებმა მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობაში ჩაება 24 გუნდის 250-მდე სპორტსმენი. გუნდები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველ მათგანში მოსკოვის ვაჟთა გუნდმა „იუნოსტმა" წააგო ლიტვის „ნიამუნასთან" და მოუგო ალმა-ათის „კაირატს". გუნდებს შორის მთავარ ფავორიტებად ითვლებიან „ბურევესტნიკის" და „დინამოს" კოლექტივები, პირად ჩათვლაში კი — ევროპის პირველობის პრიზიორები ს. გრინბერგი და ა. ამელინი, სსრ კავშირის ნაკრების წევრები ზ. რუდნოვა, ლ. ბალაიშიტე, ს. პაისიარვი.

# ეს ხუმრობა იყო?

მელბურნი, 17 ოქტომბერი. ამრიგად, რონ კლარკმა წააგო. მსოფლიოს რეკორდსმენმა 12-მილიანი დისტანცია დაამთავრა 20 იარდით (18 მეტრით) მეტოქის ზურგს უკან. გამოთქმა „ზურგს უკან" სავსებით ზუსტი როდია. რბენის დამთავრებისას კლარკი ხედავდა არა ზურგს, არამედ... კუდს. ამ უმაგალითო შეჯიბრების მეორე მონაწილე იყო სადოღე ცხენი — სერ კამერონი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მსოფლიოს რეკორდსმენმა რბენის დამთავრებისთანავე განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. „ეს, უბრალოდ, კარგი წვრთნაა, — თქვა კლარკმა, — არც ერთმა მსაჯმა დროც კი არ აღნუსხა".

ასე დამთავრდა ადამიანისა და ცხენის შეჯიბრება სარბენ ბილიკზე. მოუტანს კი ეს სარგებლობას კლარკს? შესაძლოა, კამერონმა უკარნახა კლარკს, თუ როგორ უნდა მოუგოს ნამდვილ მეტოქეებს, რომლებიც გასულ სეზონში ავსტრალიელისთვის ძნელად დასაძლევი გახდნენ (კენიელი კ. კეინო, ან ფრანგი მ. ჟაზი). მსოფლიო რეკორდსმენის დიდებას ამ გარბენმა ვერაფერი შემატა.

# „წმინდა ამერიკული" რეკორდი

აშშ-ის მთავარი „ოლიმპიური რეზერვი" მუდამ იყო უნივერსიტეტები და შეიარაღებული ძალები. ამერიკის მოყვარულ ათლეტთა კავშირმა (ააიუ) გადაწყვიტა ამ რეზერვს საშუალო სკოლებიც „დაუმატოს". წლეულს მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა შეამოწმეს ასეული ათასი მოსწავლე-სპორტსმენი (9-დან 17 წლისა), რათა გამოერკვიათ მათი უნარი და შესაძლებლობა. ცვლა მზადდება არა მხოლოდ მეხიკოს ოლიმპიადის, არამედ 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვისაც, რომელიც მიუნხენში გაიმართება. ამ ზაფხულს აშშ-ის სხვადასხვა რაიონში ჩატარდა 225 ჩემპიონატი სპორტის 11 სახეობაში, აქედან 95 შეჯიბრება მოეწყო ცურვაში, 41 — მძლეოსნობაში, 18—ჭიდაობაში, 16—ტანვარჯიშში, 14 — ძიუ-დოში და სხვ.

ამ ჩემპიონატების ამოცანა მოსწავლეთა წაქეზება და წახალისება გახლდათ. ყოველი მათგანი ოცნებობს გახდეს „ოლიმპიური ვარსკვლავი", — ყოველ მათგანს მიეცა მოწმობა, რომელშიც მისი მიღწევა აღინიშნა. 15 ათასმა მოსწავლემ მიიღო მედლები, 25 ათას პრიზიორს საგანგებო ლენტი გადაეცა.

ჩემპიონატებს წინ უძღოდა მრავალი შესარჩევი შეჯიბრება. ზოგიერთი მოსწავლე-სპორტსმენის შედეგი მართლაც საყურადღებოა. მაგალითად, ჯ. ორდუნამ (უფროსი ასაკი, ქალაქი ომახა) სამხტომში 14 მეტრი და 15 სმ უჩვენა. მან 14,7 წამში გაირბინა 120 იარდი დაბალი თარჯებით.

# [illegible]

სენტ-ლუისელმა რონდა ფლემინგმა (14-15-წლიანთა ჯგუფი) 100 იარდი 11,4 წამში გაირბინა. საუკეთესო შედეგები აჩვენა ათობით ნორჩმა ამერიკელმა მოცურავემ.

მაგრამ ოლიმპიური დიდებისა და უფრო კი რეკლამის წყურვილმა ბევრ სპორტულ მოღვაწეს უაზრო, მავნე ასპარეზობის გამართვისკენაც უბიძგა. მაგალითად, პატარა ქალაქ გლენ რიჯის (ნიუ-ჯერსის შტატი) 19 მოსწავლე, 14-15 წლის ბავშვები, „ერთთვიან მარათონში" ჩააბეს. მარათონელები გუნდებად დაყვეს, თითო ჯგუფში 4-4 მოსწავლე შედიოდა. მათ 2-3 საათს უნდა ერბინათ 400-მეტრიან ბილიკზე და ესტაფეტა მეორე გუნდისთვის გადაეცათ. ოთხეულები დარბოდნენ შეუსვენებლივ, დღედაღამ და ამ შეჯიბრებამ ერთ თვეს გასტანა. მოსწავლეებმა გაირბინეს 17.140 წრე და დაფარეს 4285 მილი.

ეს „წმინდა ამერიკული" რეკორდი გამოიყენეს... აშშ-ის მოყვარულ ათლეტთა კავშირის ოლიმპიური ფონდის შესავსებად. ისღა დაგვრჩენია ვიკითხოთ: რა აქვს საერთო ამ „ერთთვიან მარათონს" ოლიმპიურ თამაშებთან?

ვ. პეტრუსენკო.

ვაშინგტონი.

ფეხბურთი

# პრაქტიკული ნაბიჯი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომისიამ უნდა დაიწყოს მსოფლიო ჩემპიონატის პროექტების განხილვა. როგორც ცნობილია, 1974 წლიდან გათვალისწინებულია ჟიულ რიმეს თასის ჩატარება ახალი ფორმულით, ხოლო ფიფა-ს პრეზიდენტი ს. როუზი, პირველ ყოვლისა, იმ ქვეყნების წარმომადგენელთა პროექტების განხილვას აპირებს, რომლებსაც არ მოსწონთ ახლანდელი ფორმულა.

ს. როუზმა უკვე გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი. მან აფრიკის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ფედერაციების წარმომადგენლები ციურიხში მიიწვია სათათბიროდ.

# მოკლედ

● პარიზი. ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა მსოფლიო ჩემპიონატის ოთხივე პრიზიორის — ინგლისის, გფრ-ის, პორტუგალიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მწვრთნელები მოიწვია პარიზში თათბირზე, რომელიც გაიმართება 23-24 ოქტომბერს.

● რომი. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ დღეებში უნდა განიხილოს ცნობილი შვეციელი სპეციალისტის ნ. ლიდჰოლმის კანდიდატურა ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. როგორც ცნობილია, ლიდჰოლმი წარმატებით წვრთნიდა „მილანს", რომელმაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. შარშან ლიდჰოლმი დაავადდა სიყვითლით, ერთი წელი ლაზარეთში გაატარა და იძულებული გახდა მიეტოვებინა „მილანი".

● ბუდაპეშტი. განთქმულმა უნგრელმა მეკარემ დ. გროშიჩმა, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა I ლიგის გუნდებს, მუშაობა დაიწყო უნგრეთის ცენტრალური ტელევიზიის კომენტატორად ფეხბურთში.

# „საჭიროა ანტიბრაზილიური ფორმა"

გაიმართა საფრანგეთის ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ფკ ნანტის" მმართველობის სხდომა. მსჯელობის საგანს ამჯერად კლუბის არც წარმატებები შეადგენდა და არც ფინანსური მდგომარეობა: მსჯელობდნენ ფეხბურთელთა მაისურების ფერის შეცვლის საკითხზე.

საქმე ის არის, რომ წლევანდელი გაზაფხულიდან კლუბის ადმინისტრაციამ ფეხბურთელებისთვის მომწვანო-მოყვითალო ფორმა შემოიღო, ზუსტად ისეთი, როგორსაც ბრაზილიელები ხმარობენ. იგი „ნანტის" ფეხბურთელებისთვის რეკლამისა და შემოსავლის წყარო იყო. გაზეთების ფურცლებზე და გულშემატკივართა წრეებში „ნანტს" „პატარა ბრაზილია" შეარქვეს.

მაგრამ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც „დიდმა" ბრაზილიამ მწარე მარცხი იგემა, ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა. „ნანტის" ყოველი წაგების შემდეგ გაზეთები წერდნენ, — ჩვენი ფეხბურთელები ბრაზილიელებივით გაყოყოჩდნენო.

„ჩვენ თითქმის 3 თვე ვითმენდით ამას, — განაცხადა კლუბის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, — მაგრამ მეტს ველარ მოვითმენთ. შევცვლით მაისურების ფერს, რათა ვიყოთ უბრალო „ფკ ნანტი" და არა ვინმე სხვა. დღეს კლუბს სჭირდება ანტიბრაზილიური ფორმა, რომ დავივიწყოთ ის მარცხი, რომელთანაც არავითარი კავშირი არა გვაქვს".

ფეხბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ბანაკი

ფრენბურთი. სპორტნაგებობათა სამმართველოს მოედნები (პლეხანოვის პრ. № 117). 20-25 ოქტომბერი. თბილისის პირველობა I ჯგუფის გუნდებს შორის. დასაწყისი 16 ს., კვირას — 11 ს.

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. 21 ოქტომბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „რუბინი" (ყაზანი). დასაწყისი 18 ს.

ჩოგბურთი. სპორტნაგებობათა სამმართველოს საჩოგბურთო მოედნები (მარჯანიშვილის ქ. № 29). 21-30 ოქტომბერი. თბილისის პირადი პირველობა უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის. დასაწყისი 17 ს., კვირას — 10 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი. ლენინის ქ. № 14. 9. უე 12831